საქართ. მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000მ. ნონპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 342

კვირა, ნოემბრის 12 1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. პროვინც. 5000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულდათუთქულნი დედ-მამა: პელაგია გრიგოლის ასული და კლიმენტი დავითის-ძე, ანდრია და გიორგი კლიმენტის-ძე ლორთქიფანიძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ დაუვიწყარის

**დათიკო ლორთქიფანიძის**

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია კვირას 12 ნოემბერს ვერის წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაზე.

№ 342. 2—2

**რუსთაველის თეატრი**

სახელმწიფო აკადემიური დრამა

კვირას 12 ნოემბერს

**ვიდრე ზღვა?**

დადგმა ა. ფაღავასი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

კო. 528 1—1

**სახელმწიფო აკადემიური თეატრი**

**ოპერა**

კვირას 12 ნოემბერს

**აბესალომ და ეთერი**

სამშაბათს 11 ნოემბერს

**ა ლ ი**

დასაწყისი სრულ 8 ს. მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

კასსა ღიაა 11—2 სა-მდე და საღამოს 6-დან წარმოდგენის დამთავრებამდე.

კო. 527. 1—1

შაბათს, 11 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში

**დანიშნულია მორიგი სხდომა**

**ქალაქის აღმასკომის.**

განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები.

ვთხოვთ ყველა ამხანაგებს გამოცხადდნენ თავის დროზე.

136 2—2 მდივნის მაგ. თიკანაძე.

## კომინტერნის კონგრესი

ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავზე უხდება კომინტერნის მე-4 კონგრესს თავისი მუშაობის წარმოება. თვით ეს ფაქტი მრავალმნიშვნელოვანია იმათთვის, ვინც ეჭვის თვალით უყურებდა მუშათა ხელისუფლების განმტკიცების საქმეს და იმათთვისაც, ვინც ენერგიულად იბრძოდა მუშათა კლასის რიგებში.

ხუთი წლის განმავლობაში რუსეთის მუშათა კლასმა შეუდრეკელი ნებისყოფა გამოიჩინა და [illegible] კაპიტალისტური ქვეყნების თავდასხმით შექმნილ როგორც საგარეო, ისე საშინაო ფრონტზე გამარჯვება და მშრომელთა სახელმწიფოს დაცვა და შენარჩუნება.

ეს გარემოება განსაკუთრებულ ბეჭედს დაასვამს კომინტერნის მე-4 კონგრესის მუშაობას. ამას გარდა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დღეს განსაკუთრებული მდგომარეობაა შექმნილი მუშათა მოძრაობისათვის ევროპის კონტინენტზე.

ფაქტის კაბინეტის დაცემა და მუსოლინის მიერ ორი პორთფელის აღება, ინგლისის პრემიერის ბედი და გერმანეთში მონარქისტების გაძლიერება და პუანკარეს პოლიტიკური რეაქციის გამარჯვების სურათს გვიშლის და მართლაც გამარჯვებული რეაქცია უკვე შეტევას აწარმოებს მუშათა კლასის წინააღმდეგ. ყოველივე ეს ჯერ კიდევ დიდხნობით ვერ სჭრის მუშათა მოძრაობის კრიზისის საკითხს, რადგან გამარჯვებულ რეაქციას არა აქვს მტკიცე საფუძველი და იგი უძლურია იმ პოლიტიკური ეკონომიური კრიზისების დაძლევის საქმეში, რომელმაც დაანგრია ევროპის სახელმწიფოთა არსებობის ჩვეულებრივი პირობები.

დღეს კაპიტალი თავდასხმას აწარმოებს, მაგრამ თვით კაპიტალიზმის სხეული დაჰრეცილია და იგი უძლურია ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგების საქმეში.

რამდენ და კაპიტალისტური ძალების კრისტალიზაციის პროცესი მიდის, იმდენათვე მათ შორის ითხრება უფსკრული და თუ გუშინ ზოგიერთ „პოლიტიკოსთ" ლოიდ-ჯორჯის და ფაქტის დაცემა მიაჩნდათ როგორც საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ ბურჟუაზიულ ფრონტის შექმნა დღეს ეს ჩვეულებრივ ილუზიად დარჩა, არა თუ ბონარ ლოუს კაბინეტი გამოდის საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ რადიკალურად, არამედ თვით შეუბრიგებელი პოლიტიკა საფრანგეთისა ისევ საბჭოთა რესპუბლიკებისაკენ იცქირება და საფრანგეთის პოლიტიკის ოფიციოზი „ტანი" უკვე გვაუწყებს, რომ თუ გვსურს ევროპის პოლიტიკის წარმოება ანგარიში უნდა გაუწიოთ საბჭოთა რესპუბლიკებსო.

საქმეც ის არის, რომ თუ საფრანგეთი აღმოსავლეთში ოსმალეთის დახმარებით ცდილობდა ინგლისისათვის კომპენსაცია მიეცა გერმანეთის საკითხში დათმობისათვის, დღეს ოსმალეთის ხალხის გამარჯვებამ ეს შესაძლებლობა საფრანგეთისათვის მოსპო და პარიზის კაბინეტი იძულებულია გუშინდელ „მოკავშირეს" ოსმალეთის წინააღმდეგ უმაღლეს კომისრებს ნებადართოს თავისუფალი მოქმედებისა, რომ „წესრიგი" აღადგინონ სტამბოლში.

პოლონეთის პრესა სამართლიანად აღნიშნავს, რომ საფრანგეთის პოლიტიკა რუსეთის მიმართ არ არის ტაქტიკა აღმოსავლეთის კონფერენციისათვის და საფრანგეთს სერიოზულად სურს რუსეთთან დაახლოვება და ინგლისიც ამ პოლიტიკას განსაკუთრებით ყურადღებით ეპყრობა და სურს რუსეთთან დაახლოვების კონკურენციაში ჩაუდგეს საფრანგეთს.

ყოველივე ეს და შექმნილი ურთიერთობა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის თავის სასარგებლოდ უნდა გამოიყენონ მუშათა კლასმა და კომინტერნის მე-4 კონგრესი თავის ავტორიტეტულ სიტყვას ეტყვის საერთაშორისო მუშათა კლასს კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდების შესახებ.

აღსანიშნავია აგრეთვე „შემათანხმებელთა" მიერ. გერმანეთის დამოუკიდებელი პარტიის პოზიცია და ლიდებურის ჯგუფის გამოყოფა იტალიის სოციალისტურ პარტიაში მომხდარი განხეთქილება და პარტიის უმრავლესობის კომინტერნისაკენ მისწრაფება სერრატის ხელმძღვანელობით, საფრანგეთის კომპარტიის კრიზისი და მემარცხენე ფრთის მიერ საკითხის კომინტერნის მე-4 კონგრესზე გადატანა და საერთოდ მუშათა მოძრაობის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება და გათვალისწინებაც კომინტერნის მე-4 კონგრესის მიერ მნიშვნელოვანი იქნება და იგი მისცემს გარკვეულ გეზს მუშათა მოძრაობის განვითარებას.

კომინტერნის მე-4 კონგრესის წესრიგში მეტად მნიშვნელოვანი საკითხებია დასმული. მსოფლიო რევოლიუციის შტაბმა უნდა მისცეს პასუხი მთელ რიგ კითხვებს, რომლისაკენ არის დღეს მიპყრობილი მუშათა კლასის ყურადღება.

მეორე და ორნახევარმა ინტერნაციონალმა წარმომადგენებით შეასრულა თავისი როლი რეაქციის მიმართ და წინ აღუდგა მუშათა კლასის რევოლიუციონურ გამოსვლებს. ბურჟუაზიული სამყაროს მესვეურნი და კაპიტალის მაგნატნი საკმაოდ დავალებული არიან რეფორმისტების ლოცვა-კურთხევით. შეიდემან-ვანდერველდე, ქონ მაკდონალდების მისია თავის მიზანს აღწევს და მუსოლინის, ბონარ ლოუს, პუანკარესა და ვირტის კაბინეტები განაგებენ ევროპის მუშათა კლასის ინტერესებს.

თუ ასეთ წარმომადგენლებით აბარებენ თავის გამოცდას მეორე და ორნახევარი ინტერნაციონალის მამები ბურჟუაზიას, მე-3 ინტერნაციონალიც წარმომადგენლებით აბარებს თავის ეგზამენს საერთაშორისო მუშათა კლასს და თავის მე-4 კონგრესს და მართავს ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავზე, როდესაც თვით იმპერიალისტური სახელმწიფონიც იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ საბჭოთა ქვეყნებს და როგორც გუშინ გენუასა და ჰაგაში გამართონ მასთან ბჭობა, ისე დღეს ლოზანის კონფერენციაზეც მიიწვიონ იგი.

ერთი მხრით საბჭოთა ქვეყნების მუშათა კლასის ხუთი წლის თავდადებული ბრძოლა საგარეო და საშინაო ფრონტზედ და სრული გამარჯვების მიღწევა, მეორე მხრით რევოლიუციონურ ძალთა კრისტალიზაცია ევროპის მასშტაბში, მესამე მხრით კაპიტალისტურ ქვეყნებ შორის ღრმა ანტაგონიზმის ფაქტი, მეოთხე მხრით ევროპის კაპიტალიზმის დეგენერაცია და მეხუთე მხრივ რევოლიუციის შტაბის მკაფიო და მიზან შეწონილი გამოყენება პოლიტიკური მომენტებისა მუშათა კლასის ინტერესთა სასარგებლოდ, მტკიცე გარანტიაა იმისა, რომ დღესაც კომინტერნის მე-4 კონგრესი შექმნილ მდგომარეობას სათანადოთ გაითვალისწინებს და კვლავ მიზანშეწონილად მიმართავს თავის გეზს დამონებული კლასის და დამონებული ერების თავისუფლების ნავთსადგურისაკენ.

ხერ. ამაღლობელი.

## საერთო საკითხები

**ამიერ კავკასიის ფედერაციის საკითხის გარშემო.**

ერთი მთავარი საკითხთაგანი ამიერ-კავკასიის ერებისათვის საერთო საკავშირო დამოკიდებულების შექმნის დროს არის ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხი. ფაქტია, რომ არსებობს ამიერ-კავკასიის ფედერაცია, რომელსაც რვა თვის ისტორია აქვს. საკითხი იბადება, დარჩეს ეს ფედერაცია თუ დაიშალოს და დამოუკიდებლად შევიდნენ ცალკე რესპუბლიკები საბჭოთა კავშირში. „თეზისები" მიუთითებს და პირდაპირ აყენებს საკითხს ამ ფედერაციის დარჩენის შესახებ. ჩვენი აზრი უკვე იყო გამოთქმული „ტრიბუნის" ერთ-ერთ მოწინავეში: ჩვენ ვიცავდით ამიერ-კავკასიის დაშლას და აზერბეიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკების დამოუკიდებლად შესვლას საერთო კავშირში. ამ კითხვას ადგილობრივი კომუნისტური პრესაც გამოეხმაურა და ჩვენი დებულების საწინააღმდეგოთ რამოდენიმე წერილი დაიბეჭდა.

საკითხის სწორ ფარგლებში ჩასაყენებლად და ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად წინდაწინ გვინდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ მომხრე ვართ ყველა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების აუცილებლად დაკავშირების. ეს ჩვენი დებულება ჩვენ დიდი ხანია წამოვაყენეთ, ჯერ კიდევ საქართველოს საბჭოთა ყრილობებზედ და მაშინ ხელმძღვანელმა პარტიამ არ დაინახა საჭიროდ ამ კითხვის განხილვა. მაგრამ ცხოვრების შემდეგმა ვითარებამ პირდაპირ დააყენა ეს საკითხი და დღეს, როგორც ვხედავთ, მორიგ ამოცანას შეადგენს ჩვენი რესპუბლიკებისათვის.

ამ ფაქტიდან მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ ჩვენ ოქტომბრის რევოლიუციიდან მხოლოდ უფლების დარიგებას კი არ მოვითხოვთ, არამედ მოვალეობებსაც ვკისრულობთ მის მიმართ. საერთო საკავშირო დამოკიდებულებაში შესვლა და რევოლიუციონური ფრონტის გამაგრება, ეს არის დიდი მოვალეობების აღება თავის თავზე. ჩვენ გვინდა ჩვენი უფლებაც აღვადგინოთ დამოუკიდებლობის სახით, ოქტომბრის რევოლიუციის საშუალებით და მოვალეობაც დავიკისროთ ჩვენს თავზედ მტკიცე კავშირის შექმნით რესპუბლიკებს შორის.

საძიები და გამოსარკვევი ხდება არა დაკავშირების საკითხი საზოგადოდ, არამედ დაკავშირების ფორმები და მეთოდები. პირველი კითხვა დღეს უკვე უდავო და მისაღებია ყველა საბჭოთა მოღვაწეებისათვის. დავას იწვევს ცალკე რესპუბლიკების დაკავშირების ფორმა და კომპეტენციების განაწილების საქმე. ეს საკითხი სერიოზულია და მისი ერთი კალმის მოსმით გადაწყვეტა შეუძლებელია. საჭიროა ფართო მსჯელობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა ამ კითხვის გარშემო. ჩვენმა პრესამ პირნათლად უნდა შეასრულოს ეს თავისი მოვალეობა და გაურკვიოს ფართო მასას ეს მეტად მნიშვნელოვანი კითხვები.

გაზეთ „კომუნისტის" თანამშრომელი ამხ. მ. თ. ოპონენტობას გვიწევს ამ საკითხში და საკითხს ისე აყენებს, თითქოს ჩვენ „[illegible]-ქართველ" პოლიტიკის მიმდევრები ვიყოთ. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს და ავტორის მხოლოდ საპოლემიკო ხერხათ უნდა ჩაითვალოს. ვისაც ჩვენი წერილები წაუკითხავს ამ საკითხების შესახებ და გაცნობია ჩვენს შეხედულებებს ეროვნულ საკითხის მოწესრიგებას საბჭოთა ქვეყნებში, ის ასეთ დასკვნებს ვერ გამოიტანს ჩვენს წერილებიდან.

ჩვენი მეთოდი გაერთიანებისა არსებითად არ განსხვავდება იმ გზებისაგან, რომელიც ამხ. მ. ორახელაშვილმა წამოაყენა პირველ საბჭოების ყრილობაზე. საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველ საზოგადოებას გავახსენოთ ამხ. მ. ორახელაშვილის მოსაზრებანი; ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხის განხილვის დროს ამხ. მამიამ განაცხადა: „ამბობენ, ფედერაციის სახით ისპობა დამოუკიდებლობა; ეს მართალი არ არის... დამოუკიდებლობა ერთის მხრივ და გაერთიანება მეორეს მხრივ სახელმწიფო აპარატისა რამდენიმე დარგში, ეს არის ჩვენი ფედერაციის შინაარსი; და ამიტომაც ჩვენი ფედერაცია სრულიადაც არ ნიშნავს დამოუკიდებლობის მოსპობას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღარ არსებობს საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ყველა ეს რესპუბლიკები ნებაყოფლობით შედიან კავშირში ხსენებულ სახელმწიფოებრივ დარგების გარშემო. ეს გაერთიანება ხდება საერთო მტრის წინააღმდეგ და ამგვარათ შემთხვევაში არ ნიშნავს დამოუკიდებლობის მოსპობას". ორატორი გარკვევით აღნიშნავდა, თუ როგორ ესმოდა მას სახელმწიფოებრივი დარგების გაერთიანება ფედერაციაში. მაგ. ჯარის გაერთიანების საკითხის შესახებ მან განაცხადა:

„მართალია, ისევ იარსებებს სომხეთის, საქართველოს და აზერბეიჯანის ჯარი, მაგრამ მათი ხელმძღვანელი ორგანო ერთი უნდა იყოსო". (იხ. ყრილობის ოქმები გვ. 39—40 კურსივი ჩემია ს. დ.)

ასე ესმოდა ამხ. ორახელაშვილს ამიერ-კავკასიის ფედერაციის მოწყობის საქმე. მისი გეგმები და მეთოდი დაკავშირებისა აგებული არის ცალკე რესპუბლიკების დამოუკიდებლობის დაცვის ნიადაგზედ. ამ ფედერაციის ფორმის შესახებ ორატორი ამბობდა, რომ ასეთი ფორმა არ იცის არც ერთმა ბურჟუაზიულ მეცნიერების გამოკვლევამო. ცხადია, ჩვენ საბჭოთა რესპუბლიკების დაკავშირების საქმეს ვაშენებდით არა იმ გეგმებითა და მეთოდებით, რომელიც მოგვცა ამიერ-კავკასიის მაგალითებმა, არამედ სხვა გვარი გზით, რომელიც მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკებში წარმოიშვა.

ჩვენ ამ გვარად გვესმის დაკავშირების საქმე. კავშირი რესპუბლიკათა შორის უნდა აეგოს ცალკე ერების დამოუკიდებლობის დაცვის ნიადაგზედ. ამას ვიცავდით წარსულში, ამას ვიცავთ დღესაც. ასეთივე მოსაზრება გაატარა თავის მოხსენებაში კომპარტიის ერთმა ცნობილმა ხელმძღვანელმაც. დღეს ამისათვის ამხ. მ. თ. გაზ. „კომუნისტის" ფურცლებზედ შოვინისტად გვნათლავს, მაგრამ ამხ. მ. თ.-ს დასჭირდება ჩვენს ბანაკში ამხ. მამიაც მოაქციოს.

მაგრამ ბრალდება მარტო აქ არ ჩერდება. საქმე ხდება არა მარტო დაკავშირების მეთოდები და კომპეტენციების განაწილების საქმე, არამედ ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხიც. ჩვენი გაზეთის ფურცლებზედ ჩვენმა პარტიამ მოითხოვა, რომ საერთო საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში აზერბეიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკები დამოუკიდებლად, უშუალოდ, ამიერ-კავკასიის ფედერაციის გარეშე შესულიყვნენ. ეს მოთხოვნა თავისთავად ნიშნავს ამიერ-კავკასიის ფედერაციის, როგორც სახელმწიფოებრივი ერთეულის გაუქმებას. ამხ. მ. თ. გაკვირვებას გამოსთქვამს ამის შესახებ და ამბობს: „[illegible] არ ვიცოდით ყველა მათი საბუთები ამიერ-კავკასიის არსებული ფედერაციის, ე. ი. სახელმწიფოებრივი ხასიათის გაერთიანების მოშლის სასარგებლოდ მოლაპარაკენიო". (იხ. „კომუნისტი" № 257) ამიერ-კავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ ჩვენ მაშინ გავილაშქრეთ, როდესაც ეს აზრი პირველად წამოიჭრა (1921 წ.) ჩვენს პრესაში და ამის შესახებ საკმაოდ მოზრდილი არგუმენტები გვქონდა წამოყენებული. საბჭოთა ყრილობებზედ ჩვენ ხმა არ დაუჭირეთ ამ ფედერაციას და მოვითხოვეთ საერთოდ საბჭოთა ფედერაცია. ამხ. თ. ღლონტი ამ საკითხის შესახებ სწერდა ყრილობის შემდეგ: „ჩვენ ვიცავდით თანახმად პარტიის და ფრაქციის დადგენილებისა საზოგადოთ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის აზრს, რომელშიაც დამოუკიდებელი საქართველო შევიდოდა უშუალოდ და არა როგორც ერთი ელემენტი ამიერ კავკასიის ფედერაციისა" (იხ. „ტრიბუნა" № 169, მარტის 17-ს 1922 წ.)

იმავე წერილში („ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია") ამხ. თედო ღლონტი დეტალურად ეხებოდა შექმნილ ფედერაციას და მისი მომავლის საკითხს თანახმად პარტიის მთავარი კომიტეტის დადგენილებისა და იმ რეზოლიუციისა, რომელიც გამოიტანა ჩვენმა პარტიის ყრილობამ 1921 წ. ნოემბრის რიცხვებში ამხ. ღლონტი სწერდა:

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია ჩვენ მიგვაჩნია, როგორც გარდამავალი ორგანიზაცია, დროებითი პოლიტიკური კომბინაცია და არა საბოლოოდ დამთავრებული, ჩამოყალიბებული ფედერატიული კავშირი იმიტომაც, რომ ეს კავშირი ძალიან დროებითია, ხოლო განსაკუთრებით იმიტომ, რომ საქართველო, როგორც მთლიანი, გარკვეული პოლიტიკური ორგანიზაცია, ჩადგება საერთაშორისო [illegible]. ჩვენ მივდივართ საერთო ფედერაციის ოჯახში, სადაც ფედერაცია ნამდვილი დამოუკიდებელი, აქტიური და დინამიური იქნება, ნაცვლად ქვაზი დამოუკიდებელი და პასიური ლოკალური ფედერაციებისა.

ჩვენი სისტემატიური ქადაგების, ბრძოლის საგანია და დარჩება საერთო ფედერაციაში არა ამიერ-კავკასიის გზით სიარული, არამედ ქართული გზით. ეს სრულებით არ ნიშნავს დემონსტრაციას გადაჭარბებული ეროვნული გრძნობისა. არა, ჩვენ მუდამ, ჩვენი პარტიის 20 წლის განმავლობაში ურყევ დებულებად მიგვაჩნდა ეროვნული ეგალიტარიზმის პრინციპის გატარება ფედერაციაში, ესე იგი ყოველი ეროვნული ორგანიზმის თანასწორ უფლებოვანი მონაწილეობა ფედერატთა ოჯახში; ამიერ-კავკასიის ფედერაციის პრინციპი უარყოფს ამ ერთად ერთ სოციალისტურ ფედერატიულ დებულებისა, იგი ფოკუსია საქართველოს სრული ხმის მიჩქმალვისათვის და ამიტომ ჩვენ ისევ იმ დებულებას ვქადაგებთ, რომელსაც მუდამ ვემსახურებოდით და რაიცა აღიარა ჩვენმა პირველმა ყრილობამ:—საბჭოთა ფედერაციისაკენ საქართველოს გზით!" (იქვე).

ამ ციტატაში გამოთქმულია მთელი კვინტ-ესენცია ს.-ფედერალისტთა აზროვნებისა და მოძღვრების ეროვნულ საკითხში. აქ ნათლად არის გარკვეული ის, თუ რატომ ვიყავით და ვართ ჩვენ წინააღმდეგი ამიერ-კავკასიის ფედერაციისა თანამედროვე პირობებში. ეროვნული ეგალიტარიზმის პრინციპი, ერთა თანასწორუფლებიანობა ჩვენ გვაიძულებს ამ ფედერაციის წინააღმდეგ გამოვიდეთ და მოვითხოვოთ საერთაშორისო ფედერაციისაკენ საქართველოს გზით სიარული. მაგრამ, გარდა ამისა არის მთელი რიგი კითხვებისა, რომელნიც სრულიად ზედმეტად ხდიან ამიერ-კავკასიის ფედერაციის არსებობის საერთო კავშირში.

ჩვენ ვკრავთ საბჭოთა რესპუბლიკების საერთო კავშირს, ვიმუშავებთ საკავშირო ხელშეკრულებებს და ვანაწილებთ კავშირსა და ცალკე ერთეულებს შორის ფუნქციებს. თანახმად კავშირის კონსტრუქციისა და კომპეტენციათა გადამიჯვნისა არ რჩება არც ერთი დარგი, არც ერთი ფუნქცია, რომელიც მოითხოვდეს ამიერ-კავკასიის ფედერაციის არსებობას. წინააღმდეგ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ დაკავშირების საქმეში ამიერ-კავკასიის ფედერაციას მესამე შემაფერხებელი როლის თამაში შეუძლია და საშუალებას მოუსპობს ჩვენს ერებს ინიციატივისა და ელასტიური მოქმედებისათვის, შეაფერხებს კავშირსა და ჩვენს შორის მიზანშეწონილი დამოკიდებულების გამტკიცებას. მოქნილი, ელასტიური და მომქმედი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ჩამოყალიბებისათვის სრულებით საჭირო არ არის ამიერ-კავკასიის ფედერაციის არსებობა. ჩვენი მიზანია ზედმეტი ბარგი მოვსპოთ სოციალისტურ აღმშენებლობის პროცესში, რომ ის ბიუროკრატიულ ორგანიზაციად არ გადაიქცეს და არ დაამძიმოს ჩვენი მოქმედების გეგმები.

როგორც ვხედავთ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის განმტკიცებით სრულიად ახალი გარემოება იქმნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის. დღემდე არ იდგა საკითხი საერთო საბჭოთა კავშირის შექმნისა პრაქტიკულად. დღეს ეს კითხვა პრაქტიკულად დაისვა და რეალურად უნდა განხორციელდეს ახალი მეტად მნიშვნელოვანი გეგმა. ამ ახალს გარემოებაშიც ჩვენ მიზანშეუწონლად არ მიგვაჩნია ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაცვა და მოვითხოვთ, რომ ჩვენი რესპუბლიკები უშუალოდ შევიდნენ სოციალისტურ კავშირში.

მაგრამ გავითვალისწინოთ იმათი არგუმენტებიც, რომელნიც ამ ფედერაციის დამცველად გამოდიან.

ხ. დივიანი.

# პრესა

„ზარია ვოსტოკა" № 122-ის მეთაურში ეხება სხვათა შორის ამიერ-კავკასიის ფედერაციას და აი როგორ გვამკობს ჩვენ: „გადაფურცლეთ შოვინისტურ-ნაციონალისტური „ტრიბუნა" ქართველ კონტრ-რევოლიუციონერების—„მემარცხენე ფედერალისტების" (ო, ბედის ირონიავ: „ფედერალისტები" იბრძვიან ფედერაციის წინააღმდეგო!)..."

საქართველოს მუშებმა და გლეხებმა იციან, ვინ იბრძოდა 20—25 წლის განმავლობაში ფედერაციის წინააღმდეგ და ვინ ამახინჯებს ეხლა ფედერაციას. ჩვენ ამ უკანასკნელ მიმდინარეობას ვებრძვით დარწმუნებულნი, რომ სიმართლე ჩვენ მხარეზეა.

ყველამ კარგად იცის, რომ „ზარია ვოსტოკა"-სთვის გაცილებით უფრო ადვილია კონტრ-რევოლიუციონერობა მოგვიმიზეზოს და დაგვხუროს, ვინემ ჩვენ სამართლიან კრიტიკას ღირსეული პასუხი გასცეს, მაგრამ სიმართლე მაინც სიმართლედ დარჩება და ადრე თუ გვიან ქვეყნად გაიმარჯვებს ნამდვილი ფედერაცია, როგორც გამოხატულება თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირისა.

# ოპტიმიზმი ქართულ მწერლობაში

### დ. გურამიშვილი

დ. გურამიშვილის პირადი ცხოვრება მხოლოდ ტანჯვათა განცდა იყო. ჯერ იყო და, ლეკთაგან ტყვედ ქმნილი იყო, მეორე სამშობლოდან გადახვეწილი იგი პრუსიელებთან ბრძოლაში მონაწილეობს და იმის ყოველნაირ უსიამოვნო მოვლენათ განიცდის. შემდეგ იგი მირგოროდში ცხოვრობს, მშობელ ქვეყანას მოკლებული. ამ დროს მას საშინელი სენი შეეყრება, რომელიც თმასა და წვერ-ულვაშს დააცვენს, მის სანდომიანსა და მოხდენილ პირისახეს დაამახინჯებს. ეს პირადი განცდა საკმარისი იყო, რომ იგი სასოწარკვეთილი ყოფილიყო, პესიმისტი გამხდარიყო. მაგრამ ამას მიემატა საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა, რომელიც სრულებით მოშლილი და დარღვეული იყო: შაჰაბაზის მიერ ქართველების დარბევა, გაჟლეტა და გადასახლება, შინაური საქმეების აწეწ-დაწეწა, მახდომ-მოხდომა და ერთმანეთის დარბევა, ლეკთა თარეში და სხ. ცხადი იყო, რომ ერი უკანასკნელ სულის დაფვას განიცდიდა. ყოველგვარი საშინელება მას თავს ატყდა. არც ერთი ნიშანი არ ჩანდა, რომ ქართველი ერი არ წარიხოცებოდა პირისაგან დედამიწისა. აი, ეს პირადი თუ გადასავალი და საზოგადოებრივი მოვლენანი სრულ საბუთს იძლევიან, რომ დ. გურამიშვილი პესიმისტი გამხდარიყო, სასოწარკვეთა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

იგი მაინც იმედიანია, იგი ოპტიმისტია. მიზეზი ამ მოვლენისა უნდა ვეძებოთ ქართველი ერის სულიერი მადლის მხოლოდ თვისებასა და მიდრეკილებაში, ეს მადლი და მიდრეკილება ისე ღრმად და ძლიერად არის გაწყვეტილი და გაუდინთილი ყოველ ქართველში, რომ ეს უკანასკნელი ამას თავს ვერ აწევს, თავს ვერ ინთავისუფლებს ამ მიდრეკილებიდან და იგი მოწყვდეულია მხოლოდ ასეთ გრძნობათა ფარგლებში, მხოლოდ ამ ფარგლებში მოქმედობს და მეტყველობს იგი. ამიტომ ისიც, როგორც თვით ქართველი ერი, მთლიანად აღებული, იმედიანია, გულგაუტეხელია, გურამიშვილი სწორედ ამიტომაც სასოწარუკვეთელია. იგი მორწმუნე ადამიანია და სარწმუნოებაზე დაჯენილი იგი იმედიანობს, რომ ღმერთი არ ინებებს მოსპოს საქრისტიანო ერი, ქართველი ერი. მაგრამ ეს ასე ვთქვათ, მხოლოდ თეორეტიული, განყენებული საფუძველია ამ რწმენისა, ამ იმედიანობისა. ამ საფუძველს შეუძლია მხოლოდ გონება დააჯეროს მორწმუნე ადამიანისა. დ. გურამიშვილს კი ამასთანავე სჭირია, რომ გრძნობამაც დაიჯეროს ქართველი ერის წარუხოცელობა, იწამოს, რომ ქართველი ერი დიდ ხანს სხვის საჯიჯგნავად არ იქნება და ვერც იქნება. ამიტომ იგი ამ აღრეწილი გრძნობის დასაშოშმინებლად და დასაამებლად გამოსძებნის ისეთ შედარებას, ისეთ ნაქთის, რომელიც მას ამას არწმუნებინებს, ამაში დააჯერებს. იგი ამბობს:

სარკის მზის შუქით ციალსა
უწოდენ ქართველთ ერისა;
ვერას ხორციელს სულდგმულსა
„ბრჭყალში ვერ დაუჭერია.
„მე თინათინით მინათობს
„სახლთ კიდედ-კიდე ჭერია".

ჩვენთვის ძვირფასია ეს საფუძველი, ეს მოსაზრება, რომელიც დ. გურამიშვილს იმედს აძლევს და ანუგეშებს. მას მტკიცე რწმენას აძლევს, რომ მისი შეხედულება სწორია. გურამიშვილმა თვის გრძნობას დამამტკიცებელი საბუთი, დამამტკიცებელი მოსაზრება მოუნახა, გამოსძებნა. ამით თვისი თავი დააჯერა და მტკიცეთ ირწმუნა თვისი შეხედულების ურყევლობა. საქმე სწორედ ეს არის და ამან მას მიანიჭა იმედიანობა. ჩვენთვის დიდი მნიშვნელობისა სწორედ ეს იმედიანობაა. ჩვენთვის ამიტომ სრულებით საგულისხმო არ არის, ვიძიოთ, თუ რამდენად საბუთიანი და ურყევია დამტკიცება დ. გურამიშვილისა: ამ საბუთით, ამ დამტკიცებით მან ხომ გული დააჯერა, ხომ მტკიცეთ ირწმუნა და ამით იმედიანი და გულგაუტეხელი შეიქნა. ჩვენთვის ეს არის ფაქტი და ეს ფაქტია საგულისხმო.

### 4. ალ. ჭავჭავაძე.

ჩვენ ვიცით, რომ ალ. ჭავჭავაძე უდრესათ მომღერალია ეშხისა, ამიტომ ისიც ვიცით, რომ ამ ეშხის მომღერალი და აშუღი მწუხარებასაც განიცდის მოყვარეებისა გამო. ისიც ვიცით, რომ ალ. ჭავჭავაძის ქნარი იმითაც არის დასევდიანებული, რომ იმის სამშობლო ტყვე-ყრილი იყო იმ ჟამად. აგრეთვე ალ. ჭავჭავაძე თავის დროისთვის უდრესათ განათლებული პიროვნება იყო, ამიტომ იგი განიცდიდა საკაცობრიო სევდასა და ჭმუნვას, ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების ცვალებადობისა და დაუდგრომლობისა გამო. აი ამდენი მიზეზი ჰქონდა ალ. ჭავჭავაძეს, რომ იგი გამხდარიყო ნაღვლიანი და იმისი გრძნობა და გონება შეეპყრო სევდიანობასა და უიმედობას, მაგრამ იგი ასე არ მოიქცა. იმედი ანუგეშებს მას და ღრმა რწმენა, რომ კაცობრიობისა და ერის ცხოვრებაში დაუშრეტელია წყარო და საფუძველი მუდმივი განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის. ამიტომ იგი იმედიანია და მედგრი რწმენის, იგი ამბობს:

„უწყოდეთ ესე ცნობა მყარითა:
„რომ დრო მოგვივალსთ კეთილ-დარითა,
„იხილავთ ვარდსა სახე მტკბარითა".

ან კიდევ:

„თუმცა ზამთარი აზრობს ყვავილთა
„და აგდებს ხეთა მწვანისა გამძარცვულთ,
„გარნა ჟამით ცნობით მათგანვე ხილთა,
„ჯერ არს, ვლოდოთ პირველებთ ტკბილთა
„ეს არს, ზნე დროთა სიარულისა".

ალ. ჭავჭავაძემ იცის ცნობა მყარითა, ე. ი. მტკიცეთ იცის, რომ ზნე დროთა სიარულისა ის არის, რომ ცხოვრება დაუშრეტელია თვისი მრავალმხრივობითა და იმით, რომ ადამიანს არ აკლებს სიამოვნებასა და სიტკბოებას და სწორეთ ამიტომაც ადამიანმა უნდა იცოცხლოს, იმოქმედოს და თვისი ცხოვრება ამიტომ განახანგრძლივოს.

### 5. გრ. ორბელიანი.

გრ. ორბელიანი ალ. ჭავჭავაძის დარგის მგოსანია. ამიტომ მასაც უნდა სობოდა „ჭმუნვის მახვილი", ისიც უნდა დაწაღვლებულიყო და იმედი დაეკარგა. მაგრამ არა. ისიც მხნე და გაბედულია და სიცოცხლისა და ცხოვრების მოყვარულია, რადგან დაბეჯითებით სჯერა, მტკიცეთ სწამს, რომ

„გულს სიყვარულით, ხელს ხმალით
რას არა ადვასრულებდეთ."

### 6. ნ. ბარათაშვილი.

ჩვენს მწერლობაში ნ. ბარათაშვილი ცნობილია როგორც მგოსანი „დამწუხრებული სულისა". იმის ქნარი უმთავრესად „კაეშნის ხმაზე" ჟღერს. ჩვენ ვიცით მიზეზი მგოსნის ობოლ სულობისა, დანაღვლიანობისა და სასოწარკვეთილებისა. ეს მიზეზი იყო ოჯახურისა და საზოგადოებრივი ხასიათისა. განცდა ამ მიზეზთა ისე ძლიერი იყო მასში, რომ იგი ჩვენს მწერლობაში წარმოადგენს ობოლ მარგალიტს ძლიერი ნაღვლიანობისა და სევდიანობისას. მაგრამ ამის მიუხედავად, ქართველი ერის სულიერი მადლის სიძლიერემ და სიღრმემ იგი ააცდინა დაქანებულიყო სრული სასოწარკვეთილების დაღმართზე. ამიტომ იგი შეჩერდა იმედიანობისა და სასოების გზაზე და სიყვარულითა და სასოებით შესცქეროდა ცხოვრებას და სიცოცხლეს. იგი თავის თავსაც და სხვებსაც ანუგეშებს რომ,

„ჰა, სახიერო, რათ წარვიკვეთ მე სასოებას:
პირველ უმანკომ თვით ადამმაც სცოდა შენს მცნებას".

თუ კი ადამმა სცოდა და მით გაჭირვებაში ჩავარდა, რადგან სამოთხიდან გამოძევებული შეიქნა, და ამის მიუხედავად კაცობრიობა თვისი გარჯილობითა და ჯაფით მაინც განიცდის განვითარებას და აღწევს ცხოვრების პირობათა გაუმჯობესებას,—მე, მგოსანმა რათ-ღა უნდა წარვიკვეთო სასო და არ გავითფო გრძნობა-გონება ცივი სხივით. ამიტომ იგი მღუარი მუშაკია ამ ცხოვრების გაუმჯობესებისათვის:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს".
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს".

ამიტომ იგი იმედიანია და მოელის კარგ შედეგებს თვისი მოღვაწეობისას

„ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის
ეს განწირულის სულის კვეთება.
და გზა უვალი შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება.
და ჩემ შემდგომსა მოძმესა ჩემსა
სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრათ მას ჰუნე თვისი
შავის ბედის წინ გამოუქროლდეს".

მგოსანს სწამს, რომ რაც უნდა გაჭირვებაში იყოს კაცი, მას მაინც უნდა იმედი ჰქონდეს, მან იმედი არ უნდა დაჰკარგოს და ბეჯითად სჯეროდეს, რომ მას შავი ბედის თვალწინ დამხმარეთ გამოუქროლდეს ჰუნე, ე. ი. ბედაური ცხენი, რაში, მერანი, რომელიც მას შეუპოვრად გააქანებს და ამით შავი ბედის კლანჭებიდან დაიხსნის.

# ახლო აღმოსავლეთი

**პარიზის თათბირი.**

**მანჩესტერი,** 11 ნოემბერი. პარიზის ცნობებით, ლორდ კერზონს განზრახვა აქვს ამ დღეებში გაემგზავროს პარიზში პუანკარესთან, მუსოლინთან მოსალაპარაკებლად ლოზანის კონფერენციის შესახებ.

**ბოლგარეთის მოთხოვნილება.**

**ნაუენი,** 11 ნოემბერი. ბოლგარეთი მოითხოვს, რომ ის დაშვებულ იქნეს კონფერენციაზე არა მარტო სრუტეების საკითხის განხილვის დროს, არამედ საერთო საზავო კონფერენციაზე მონაწილეობისათვის.

**ოსმალეთის დელეგაციის გამგზავრება.**

**მანჩესტერი,** 11 ნოემბერი. სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის დელეგაცია გაემგზავრა ლოზანის კონფერენციაზე.

**20 ნოემბერი.**

**მანჩესტერი,** 11 ნოემბ. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ლოზანის კონფერენციის მოწვევის ვადათ საბოლოოდ აღიარებულია 20 ნოემბერი.

**კომპრომისი.**

**მანჩესტერი,** 11 ნოემბ. მოკავშირეების უმაღლეს კომისრების თათბირი იზმიდ-ფაშასა და რეფეტ ფაშასთან დამთავრდა კომპრომისით, რის გამო ურთიერთობის გამწვავება აშორებულია თავიდან.

**ინგლისი ამზადებს ახალ ძალებს.**

**ნაუენი,** 11 ნოემბ. ლონდონში სამხედრო სამინისტრო ამზადებს ახალ ძალებს ახლო აღმოსავლეთისათვის, სადაც მდგომარეობა საშიშროებით იმუქრება.

**მუსოლინის აზრი**

**ნაუენი,** 11 ნოემბ. მუსოლინის აზრით ქემალ-ფაშას განზრახვა, რათა დაჩქარებით დაიკავოს სტამბოლი, გამოიწვევს მხოლოდ მოკავშირეების მეგობრულ განზრახვების გაქარწყლებას ქემალისტების მიმართ.

# უცხოეთი

**სამხედრო კრედიტების მოთხოვნილება**

**მანჩესტერი** 11 ნოემ. სამხრეთ-სლავიის მთავრობამ აღძრა საკითხი, რათა მიეცეს მას კრედიტი 800 მილ. დოლარის რაოდენობით ფლოტისა და არმიის გასადიდებლად, რაც აუცილებელია გართულებულ საერთაშორისო მდგომარეობის გამო.

**პარიზის თათბირი**

**ბორდო** 11 ნოემ. პარიზში ფიქრობენ, რომ კერზონის შეხვედრამ პუანკარესთან და მუსოლინთან, ხელი არ უნდა შეუშალოს ლოზანის კონფერენციის დაჩქარებით მოწვევას.

**ოსმალეთის დელეგაციის გამგზავრება.**

**ბორდო.** ნოემბ. 11. ოსმალეთის დელეგაცია ისმეტ-ფაშის თავმჯდომარეობით გაემგზავრა სტამბოლიდან ხუთშაბათს და ლოზანაში იქნება ორშაბათს გამიდ-ბეი და ექსპერტები გაემგზავრენ საფრანგეთის გემით—„ტიგრ"-ით მარსელის მიმართულებით.

**ამსტერდამის ინტერნაციონალი**

**მოსკოვი,** 11 ნოემ. ამსტერდამის ინტერნაციონალმა პროფინტერნს გაუგზავნა თავისი ფინანსიური ანგარიში იმის დასამტკიცებლად; რომ ის არავითარ თანხას კაპიტალისტებისაგან არ იღებს. პროფინტერნმა უპასუხა: „ეს ნიშნავს იმას, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი უსიტყვოდ ასრულებს ბურჟუაზიის დავალებებს" პროფინტერნი სთხოვს დაუბრუნდეს მას ის თანხები, რომელნიც შეტანილ იქნენ ამსტერდამის ინტერნაციონალის სალაროში პროფინტერნის იმ მომხრე წევრების მიერ, რომელნიც დარჩნენ ამსტერდამის ინტერნაციონალში ფრონტის მთლიანობის დაცვის მიზნით.

**გერმანიის მუშათა შორის.**

**მოსკოვი.** ნოემბ. 11. გერმანიის პროფკავშირთა წარმომადგენლებმა განუცხადეს შრომის მინისტრს, რომ ისინი მზად არიან ანგარიში გაუწიონ გერმანიის მრეწველობის გაჭირვებას და მიიღონ სამუშაო დღის კანონი ზოგიერთი დათმობით 8 საათის ს მუშაო დღის პრინციპში ბურჟუაზიული გაზეთები იწონებენ მოკავშირეთა ბიუროკრატიის საქციელს.

**კაბინეტის გადაყენება.**

**მოსკოვი,** ნოემბ. 11. ლატვიის სეიმის თავმჯდომარეთ არჩეულია სოციალ-დემოკრატი ფრიდრიხ-ვეისმანი. მეიეროვიცის კაბინეტი გადადგა. სეიმის თავმჯდომარემ სთხოვა კაბინეტს დარჩეს სათავეში ახალი კაბინეტის შედგენამდე.

**თეთრი ტერორის თარეში.**

**ბერლინი.** გაზ. „როტე ფანე" იტყობინება რომ არადში დაპატიმრებული იყო ვაგონების სამშენებლო ქარხნის „ასტრას" 4.000 მუშა, რის შემდეგ წარმოება დაიკავეს ჯარებმა. მუშებს გამოუცხადეს, რომ ისინი ხელახლა უნ და შეუდგნენ მუშაობას დაჯარიმებულ სალდათების სახით.

**სამრეწველო კრიზისი.**

**ბერლინი.** გაზ. „როტე ფანე" იტყობინება, რომ ჩეხო-სლოვაკიის მრეწველების საერთო კრიზისი სელის წარმოებაზეც გავრცელდა. უკანასკნელ ხანებში უმუშევრად დარჩა 13000 კაცი. ფიქრობენ, რომ კიდევ 15 ფაბრიკის დახურვის შემდეგ წარმოების გარეშე დარჩება 5000 კაცი. თეთრეულობის დამზადებელი ფაბრიკები კვირაში სამ დღეს მუშაობენ, გა[illegible] ფასის 25 პროც. [illegible].

**განხეთქილება ფაშისტებს შორის.**

**ბერლინი.** გაზ. „როტე ფანე" იტყობინება, რომ ფაშისტების შორის შემჩნეულია განხეთქილების ნიშნები. ფერირეში მოხდა აშკარა განხეთქილება მსხვილ მიწის მფლობელ ფაშისტებსა და სამეურნეო წარმოების მუშებს შორის. ამ ჟამად ასეთივე უთანხმოება ხდება სამხრეთ იტალიაში. ცენტრალური კომიტეტი იძულებული იყო დაეშალა საარიონო ჯგუფები ტარენტოში და ლეცეში. ეროვნულ დროშის ქვეშ კლასიური გაერთიანება უნიადაგო გამოდგა, ვინაიდან წვრილი ბურჟუაზია და სოფლის მეურნეები თანდათან შორდებიან ფაშიზმს მისი თეთრ გვარდიელების პოლიტიკის მეოხებით.

# რუსეთი

**ინტერვიუ ამხ. ლენინთან**

**მოსკოვი** 11 ნოემ. ინგლისის კორესპონდენტთან საუბრის დროს ამხ. ლენინმა განაცხადა: „საფრანგეთთან დაახლოვება არ მოასწავებს ჩვენი პოლიტიკის შეცვლას ინგლისის მიმართ. ჩვენ ვცდილობთ მეგობრული კავშირი ვიქონიოთ ორივე სახელმწიფოსთან. ოსმალეთ-საბერძნეთის ომის დამთავრება მეტს შანსებს იძლევა რუსეთ-ინგლისის შეთანხმებისათვის, რომელსაც ჩვენ დიდი ხანია მივესწრაფვით. ჩვენი პროგრამა სრუტეების შესახებ შემდეგია: ოსმალეთის ნაციონალური ზრახვების დაკმაყოფილება, სრუტეების დახურვა სამხედრო გემებისათვის მშვიდობიანობის და ომიანობის დროს, სავაჭრო გემების მიმოსვლის თავისუფლება".

**კომინტერნის მეოთხე კონგრესი**

**მოსკოვი** 11 ნოემ. კომინტერნის კონგრესის მეორე სხდომაზე დაესწრო ყველა დელეგატები. დაესწრენ აგრეთვე საზღვარგარეთის ბურჟუაზიული პრესის დახლოვებით 30 წარმომადგენელი. პრეზიდიუმში არიან—ზინოვიევი, მარხლევსკი, კოლაროვი, ბერონი, ანრი, კლარა ცეტკინი, ბუხარინი, ნეიმანი და სხვები. ერთხმად დამტკიცებულ იქნა დღის წესრიგი.

თავის მოხსენებაში ამხ. ზინოვიევმა განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ბურჟუაზიულ ქვეყნებში ემჩნევა მეურნეობის მცირეოდენი გაუმჯობესება კაპიტალიზმი მაინც საბოლოო კრიზისს განიცდის. საერთაშორისო მდგომარეობა მწვავდება: ანტანტა იშლება ვერსალის ზავი უქმდება. ბურჟუაზიული პაციფიზმი გაკოტრდა, კოლო-

ნიურ ქვეყნებში ბრძოლა ძლიერდება ბურჟუაზიული დემოკრატია იშლება. რეაქცია იმარჯვებს, ფაშიზმი საერთაშორისო მოვლენად ხდება. მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ მსოფლიო რევოლუცია ყურდება.

საბჭოთა რუსეთი, შემოიღო რა ახალი ეკონომიური პოლიტიკა, თანდათან ძლიერდება ახალი ეკონომიური პოლიტიკა არ არის კომუნისტური პრინციპებიდან უკან დახევა: „იგი არის ყოველი, რევოლუციის გაცილებული პირობა მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილ ქვეყნებში. რეაქციას უნდა დაუპირისპირდეს პროლეტარიატის ერთიანი ფრონტი.

მეოთხე კონგრესის შემდეგ კომინტერნის აღმასკომს მოუხდა ბრძოლა გართულებულ საერთაშორისო პირობებში. იწყებოდა კაპიტალის ძლიერი შემოტევა. რუსეთში საშინელი შიმშილობა იყო, მსოფლიო პროფესიონალური მოძრაობა შესუსტდა. 1922 წელში პროფკავშირების წევრთა რიცხვი შემცირდა 25 მილიონ—18 მილიონამდე. რეაქციურმა პირობებმა მოითხოვა მუშათა ფართო მასების შეკავშირება. 1921 წ. დეკემბერში აღმასკომმა წამოაყენა ერთიანი ფრონტის ლოზუნგი; გერმანიის და ჩეხო-სლოვაკიის ამხანაგებმა სავსებით ჩაატარეს ერთიანი ფრონტის ტაქტიკა; გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მოძრაობა გავრცელდა მუშათა ფართო მასებში და შეიძლება დამთავრდეს ბევრად ადრე, ვიდრე ამას მოელიან; საფრანგეთის პარტია კრიზისს განიცდის; შეიძლება ვიფიქროთ, რომ საფრანგეთის ამხანაგები ჩქარა შეკავშირდებიან ერთიან პარტიაში; ჩეხოსლოვაკიის პარტია ჩამოყალიბდა ერთიან პარტიაში; იტალიის ამბებმა დაამტკიცა კომინტერნის ტაქტიკის სისწორე; უფრო ძნელია მდგომარეობა პარტიისა, როდესაც იგი არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფება ზოგიერთ ქვეყნებში, მაგ. პოლონეთში. არალეგალური მუშაობა წარმატებით ვითარდება მუშათა მასიურ მოძრაობას ყველაზე სუსტად იზრდება მოძრაობა. ინგლისში უკანასკნელ ხანებში იაპონიაში, ინდოეთში, სპარსეთში და ოსმალეთში კომპარტიას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა. საუკეთესო მომავალი ბალკანეთის პროფინტერნს რომელმაც უკვე დიდ წარმატებას მიაღწია.

—

**„არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკური წრე“**

კვირას, 12 ნოემბერს, დილის 10 საათზე, საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ცენტრალურ ბიუროში წაკითხულ იქნება მორიგი მოხსენება ამხ. შალვა ლევავას მიერ „რევოლუცია“.

დასწრება შეუძლიათ ახალგაზრდათა ორგანიზაციის წევრებს და თანამგრძნობთ.

წრის გამგეობა.

მა ყველა წევრის დასწრება სავალდებულოა.

# ახალი ამბები

— **პანაშვიდი.** კვირას ნოემბრის 12-ს სრ. საქ. მწერალთა კავშირის თაოსნობით მთაწმინდის სასაფლაოზე გარდახდილ იქნება პანაშვიდი დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალებიდან 35 წლის თავის აღსანიშნავად.

— **ამხ. თ. ღლონტის დაბრუნება.** შაბათს 11 ნოემბერს მოსკოვიდან დაბრუნდა ამხ. თედო ღლონტი.

— **ამხ. თედო ღლონტის წიგნაკი.** „გლავპოლიტპროსვეტის“ გამოცემით ამ დღეებში მოსკოვში გამოვიდა ამხ. თ. ღლონტის წიგნაკი „Конец Браунтайлиаде“.

—

**შეცდომების გასწორება.**

გუშინდელ ნომერში არის შემდეგი უმთავრესი კორექტურული შეცდომა. მეთაურ წერილში სწერია: „საფრანგეთის წრეებშიაც ტრიალებს აზრი, რომ ქემალის კომისრებს უნდა მიენდოს „წესრიგის აღდგენა“.. უნდა იყოს „უმაღლეს კომისრებს უნდა მიენდოს“.

ამხ. სერ. ამაღლობელის წერილის სათაურში ნაცვლად „დავიწყებული პასუხისა“ უნდა იყოს „დაგვიანებული პასუხი“.

## სამხატვრო ქრონიკა

**ა. დოლონაძის კონცერტი.** სამშაბათს, ნოემბრის 14, რუსთაველის თეატრში გაიმართება ერთად ერთი და განუმეორებელი კონცერტი ცნობილი მომღერლის ა. დოლონაძისა. მონაწილეობენ: პოპოვა (კოლორატ. სოპრანო), გარბუზოვა (ვიოლონჩელი), ვანო სარაჯიშვილი (შეასრულებს „ინდი მინდის“ და ახალ ქართულ დუეტს დოლონაძესთან), ვასო აბაშიძე და ნიკო გოცირე (შეასრულებენ კომიკურ სცენებს) და სხვანი.

ამ გამოსვლის შემდეგ დოლონაძე გამართავს რამოდენიმე კონცერტს პროვინციებშიაც, რის შემდეგ გაემგზავრება მოსკოვით ვენაში, სადაც იგი საგანგებოდ არის მიწვეული.

**სახელმწიფო ოპერა.** დღეს, კვირას 12 ნოემბერს „აბესალომ და ეთერი“, მონაწილეობენ: ქსანიშვილი, ლაბაშიძე, სარაჯიშვილი, ინაშვილი და სხ.

დასდგამს ა. რ. წუწუნავა. დირიჟორობს ვანო ფალიაშვილი.

## პარტიაში

დღეს, შუადღის 12 საათზე „ტრიბუნას“ რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის მორიგი სხდომა.

# ჩვენი სკოლისათვის

**უცხო ენის სწავლების საკითხი**

გაეროვნებული ჩვენი სკოლა, კადნიერება არ იქმნება თუ ვიტყვით, რომ ჯერ ისევ მშობიარობის ხანაშია. თავისთავად ცხადია, განახლების პროცესში მყოფმა სკოლამ ახალი გადაფასება უნდა მოახდინოს სწავლა აღზრდის და პედაგოგიკის ყველა წერტილში.

ყველა ვაღვიარებთ, რომ ძველი სკოლის სამოსწავლო პროგრამები ჩვენთვის მიუღებელია. ახალი სკოლა სწავლა-აღზრდისათვის ახალ პროგრამებს და მეთოდებს ითხოვს. ამ მცირე წერილში ჩვენ ვლაპარაკობთ ქართულ სკოლაში უცხო ენების სწავლების შესახებ. უდავოა ის აზრი, რომ მცირე ერი ბუნებრივად უნდა ესწრაფვოდეს სხვა და სხვა ენების შესწავლას და მით უმეტეს ისეთი ენების, რომლებიც უნივერსალ მნიშვნელობის არიან, მათი ცოდნა მსოფლიო მეცნიერების ტაძრების კარებს გვიღებს და გვიადვილებენ საერთაშორისო ფერხულში ტრიალს.

ევროპიული ენების ცოდნა განსაკუთრებულ საჭიროებათ წარმოდგა ქართველი ხალხისათვის მას შემდგომ, რაც საქართველომ 120 წლით მიჯაჭვული სახელმწიფო გემი აუშვა და კულტურულ მსოფლიოს ოჯახში პოლიტიკურ სწორ-უფლებიან წევრად შევიდა. ამ მხრით მხურვალე ინტერესი გამოიჩინა საქართველომ, მაგრამ ჩვენ ყურადღებას იპყრობს კითხვა თუ როგორის წესით მიმდინარეობს უცხო ენების სწავლება ქართულ სკოლაში.

პირადათ ჩვენ, ამ სტრიქონების დამწერი, დაკვირვებამ (განსაკუთრებით პროვინციის სკოლებში) დაგვარწმუნა უცხო ენების სწავლება უაღრეს შეუფერებლობით და უმწეობით სწარმოებს.

პროვინციის სკოლებში 1 კლასიდან (შრომის სკოლა) ბავშვებს ვაწყებინებთ ორ უცხო ენას ფრანგულს და გერმანულს. ასე გრძელდება ეს 7 წლიწადს ე. ი. ტეხნიკუმში კურსის დამთავრებამდე.

ამ 8 წლის სიგრძეზე იქნება მკითხველი ჰფიქრობს, რომ მოწაფეები დაახლოვებით მაინც ეცნობიან უცხო ენებს, რომ მსურველთათვის შემდგომ ადვილი გახდება ამ ენების შესწავლა. სამწუხაროდ ეს ასე ოდნავადაც არ არის. აღსანიშნავია, რომ 8 წლის მერე ქართველი ბავშვი საოცრად ამახინჯებს უცხო ენას. ქართულ ცხოვრების სინამდვილე ყველამ უწყით. ჯერ ისეთი პირობები არ არსებობს. რომლის მიხედვითაც ქართველ ბავშვს შეეძლოს პირველ კლასიდანვე უცხო—ევროპიულ ენის შეთვისება.

როგორი ცვლილება შეიძლება ამ მხრით, რომ მოხდეს?

ჩვენის ფიქრით, გაცილებით ნაყოფიერი და რაციონალ იქნება, თუ ჩვენ პირველ კლასიდან მეშვიდე კლასამდე სრულიად გავაუქმებთ ევროპიულ ენის სწავლებას და მას შემოვიღებთ მე-7 და მე-8 კლასის მოწაფეთათვის.

ამ კლასის მოწაფენი ერთგვარ ჰასაკში არიან. მეტის ინტერესით დაიწყებენ მაცადინობას და ვირწმუნოთ, რომ ორი წლის მუშაობა მე-7 და მე-8 კლასებთან გაცილებით მეტს მოგვცემს უცხო ენების შესწავლის საქმეში, ვიდრე 1 კლასიდან ავტომატიური ზეპირება უცხო სიტყვათა, რომლის მნიშვნელობა პირველი ან მეორე და მესამე კლასის მოწაფემ კი არა, არც ერთმა აბიტურიენტმაც აღარ იცის.

გვინდა ვიწამოთ, რომ ამ სერიოზულ კითხვას შესაფერ ყურადღებას მიაქცევს საქართველოს სახალხო განათლების უწყება და ქართველი პედაგოგები.

ირ-დი.

# კულტურული მუშაობა ჯარში

საბჭოთა რუსეთის [illegible] რევოლუციონური — ჯარის — [illegible]ბის ხუთი წლის ისტორიის შესწავლა, ყოველ ჩვენგანს გარკვეულ წარმოდგენას აძლევს ამ ძალების სოციალისტური განწყობილების შესახებ და იმ შეუდრეკელ თავდადებაზე, რომელიც მათ გამოიჩინეს ყოველი ჯურის კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში. საბჭოთა ქვეყნების სამხედრო ძალის ერთსულოვანი მოქმედება და ერთნაირი იდეებით ხელმძღვანელობა სამართლიანად აკვირვებდა მთელს კაპიტალისტურ მსოფლიოს და ბუნებრივი იყო მათი შიშით ძრწოლვა, სოციალისტური და მონარქიული პოლიუსების დაპირისპირების დროს.

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას რომ რუსეთის ისტორიას არ ახსოვს ისეთი მტკიცე ენერგიის მქონე შეიარაღებული ძალა, როგორიცაა აწმყო სოციალისტური რუსეთის წითელი არმია, რომელიც რევოლიუციონური იდეების ძლევა მოსილებას წარბშეუხრელად სწირავს თავის ფიზიკურსა და სულიერ ენერგიას.

ასეთ ძლიერ ნებასა და თავისი დანიშნულების შეგნებას წითელ ლაშქარს ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ საბჭოთა ხელისუფლება უკანასკნელ დღემდე არ ზოგავს არავითარ ენერგიას ჯარში კულტურული მუშაობის საწარმოებლად.

მიმდინარე წლის პირველ მაისს რუსეთის წითელ ლაშქართან ერთად ჩვენმა ქართულმა მხედრობამაც დიდი აღლუმით იდღესასწაულა ქართულ ნაწილებში წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა და ამის შემდეგ ყოველი სამხედრო სკოლა, რომელნიც პირველ მაისამდე პირველი საფეხურის სისტემისანი იყვნენ, მეორე საფეხურის სკოლებად გადაკეთდნენ და წერა-კითხვა შესწავლილ წითელ არმიელებს შესაძლეობა მიეცათ კვლავ გაეგრძელებინათ სასკოლო მეცადინეობა. ხოლო ისეთ სამხედრო ერთეულებში, სადაც პირველი მაისის შემდეგ კვლავ მოვიდნენ სხვა და სხვა პროვინციებიდან წერა-კითხვის უცოდინარი წითელ-არმიელები, მათთვის განსაკუთრებით იხსნებოდა სკოლები პირველი საფეხურისა და ჩქარი ტემპით სწარმოებდა მათი მეცადინეობა წერა-კითხვის შესასწავლად.

ჩვენ ეხლა არა გვსურს დაწვრილებით აღნუსხვა ყველა იმ შედეგებისა, რომელიც მოიტანა ჩვენს ჯარში ასეთმა კულტურულმა მუშაობამ.

**7. ილ. ჭავჭავაძე**

კარგად ვიცით, რომ ილ. ჭავჭავაძე თავის დროის შესაფერად კარგად მომზადებული და განვითარებული ახალგაზრდა იყო. მას შეთვისებული ჰქონდა „სოვრემენიკის“ იდეები და იდეალები. გარდა ამისა იგი თანამედროვე იყო გარიბალდის გაბედული მოღვაწეობისა. ამიტომ მას იტაცებდა და სიამით გულს უტოკებდა საკაცობრიო მაღალი იდეალები და ამავე დროს თავისი ერის თავისუფლების მოტრფიალე იყო. სინამდვილემ კი მას სიმწარე აგრძნობია, რადგან კარგათ დაინახა ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარება. არც ერთი ეს იმედს არ იძლეოდა, რომ ქართველი ერის ციაგი ახლო ხანში გაცისკროვნდებოდა. მან დაინახა, იგრძნო და განიცადა, რომ „ამდენ ხალხში კაცი არ იყო, რომ ფიქრი ენდო და გრძნობა თვისი გაეზიარებია“, რომ ქართველ საზოგადოებაში ებრძოდნენ მას, რასაც ესწრაფებოდნენ. ამიტომ იმედი როდი იყო, რომ ეს საზოგადოება დროზე გამოფხიზლდებოდა და განიმსჭვალებოდა საკაცობრიო იდეალების განმახორციელებელი სურვილით და ერის თავისუფლების მოსაპოვებლად თავდადებული მოქმედებით. ამიტომ მგოსნის გული სევდამ შეიპყრო, შური ქმუნვამ დაუნაოჭა და იმედი მკრთალჰყო. ამ მდგომარეობაში ჩაყენებული იგი გულწრფელად აღიარებს;

„დამწყნარდა სული, გამშრალდა ცრემლი.
სიცივე მკვიდრობს ახლა ჩემს გულში:
აღარ მაქვს საზრდო სულისათვის მე
არც სიხარულში, არც სიყვარულში“.

ერთი სიტყვით, ის იმედიანობას კარგავს და სასოებას წარიკვეთს. მაგრამ ამის მიუხედავათ იგი არ კარგავს სულის შეთანწყობილებას და უნუგეშო ნაღვლიანობას თავს დაადწევს. იგი მაინც იმედიანი და იმის გული გამობარია სასოებით და რწმენით, იგი ადამიანთა სიკეთით არის თრობილი, ე. ი. აღფრთოვანებით გაჟღენთილი. იგი ამ ექსტაზში მყოფი მოგვითხრობს:

„მე კაცთ სიკეთის მხურვალე რწმენა
ჰქონდა, თუ ლხინში წინ მიმიძღოდა.
გული თრთოდა მის წმინდა მადლით
ჰქონდა ცეც თითქმის ეურჩებოდა“.

ურწმუნოებას რწმენა დაუპირისპირდა, ურიმედობას ნუგეში, გაცამტვერებასა და მკრთნარეობას სიცოცხლისა და ცხოვრების სიყვარული და ამ სიყვარულით წარმოშობილი ტკბობათა განცდა. ამიტომ იგი განიმსჭვალა გაბედული მოქმედების სურვილით:

„ყველას გავუძლებ, როგორც კლდე ქვისა:
მედთანა ბრძოლა ვით მეშინება“.

ამ სიყვარულმა ცხოვრებისადმი მას უკარნახა მშვენიერი სახე მწყემსი ქალისა, რომელიც „განდეგილში“ ყავს დახატული და რომელიც განსახიერებაა სიცოცხლისა და ცხოვრების თაყვანებისა, გაღმერთებისა. მანვე თვით ქართველი ერის წიაღში აზიდა მარგალიტად ამოსახა ოთარაანთ ქვრივი, რომელიც მთელი თავისი არსებით, შეგნებითა, რწმენითა და მოქმედებით ასულდგმულებული განსახიერებაა ცხოვრებისადმი უაღრესი სიყვარულისა და იმ ძლიერი იმედიანობისა, რომელიც ყოველივეს, რაც მის გარშემოა, თავისი მადლიანი სხივებით ათბობს და ანგლარებს.

**8. აკაკი წერეთელი.**

აკაკი წერეთლის აღზნებული სული იმით იყო დასევდიანებული, რომ იმის სამშობლო ტყვეთ ქმნილი იყო. მთელი იმის საოცარი ნიჭის ძლიერება მან ამ დატყვევებული სამშობლოს განთავისუფლებას მოანდომა, შეალია. აკაკი, თვისის ნიჭის ნიშნობლივი თვისებით, გამსჭვალულია—„ტკბილ ხევსური“ ჰანგებით. ამიტომ იმის სამშობლო რომ კარგ პირობებში ყოფილიყო, იგი შეიქნებოდა ტკბილ-მღერალი. მაგრამ, რადგან სამშობლო ტყვექმნილია, იგი ამიტომ სამხიარულო, სალხინო ხმაზე აღარ ეჟღერებს ჩონგურს და იგი ჩონგური „ელერს სამარის კარზე“ და იგი „ჟღერაა მოთქმა და ზარი“. იმის ჟღერა მხოლოდ სამგლოვიარო ზარია ქვეყნისა სამშობლოსა საყვარლისა და სათაყვანებელი მიცვალებულის წინაშე. ამიტომ ცხადია, რომ აკაკის ქნარს საბუთი ჰქონდა, ყოფილიყო ნაღვლიანი და მწუხარებით აღვსილი. ამ ნიადაგზე კი უნდა აღმოცენებულიყო და შემუშავებულიყო უაღრესი სიძლიერის პესიმიზმი და უიმედობა, აკაკის „ტკბილ ხევსური“ ჰანგი უნდა მოსპობილიყო და გამქრალიყო. მაგრამ არც აქ მოხდა ასე და აკაკიც სასოწარკვეთილებიდან იხსნა სალმე გრძნობამ, რომელიც მას უაღრესად მინიჭებული ჰქონდა ქართველი ერის წიაღიდან. ამიტომ იგი აღჭურვილია იმედიანობითა და ნუგეშით. იგი თავის თავსაც და სხვებსაც აჯერებს, რომ იმის სიყვარულის საგანი

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს,
ეს-ეს არის გაიღვიძებს“.

თუ გაიღვიძებს, უიმედობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს და მარადი უნდა დაიჯერო, რომ მოსალოდნელს აღმოჩენილ მეტი დახმარება და ბედნიერება. ამიტომ მას გაუკვირდა ნათელი სხივი იმედიანობისა და მან დაიჯერა, რომ მიჯაჭვული ამირანი ჯაჭვს გაწყვეტს, თავს აიშვებს და ყვავ-ყორანთა საძაგნავი აღარ შეიქნება იმის გულ-ღვიძლი. ამიტომ იგი იმედიანი, მედგარი და გაბედულია და გაიძახის სრული შვებითა და ლხენით.

„არა, ავყვავდეს იმედი!
„გულს ვერ გამიტეხს ჭადარა:
„გმირებს დაეძებს, უყივის
„ჩემი დაფი და ნაღარა“.

მას საყვარლის საფლავი, თავისი სამლოცველო და სათაყვანებელი დაეკარგა და იმის ძებნას შეუდგა. ამ ძებნაში მან სასიცოცხლო საქმე გაიჩინა და ამავე დროს დარწმუნდა, რომ იგი საყვარელი კი არ მომკვდარა და გახრწნილა, არამედ იგი დაძინებია და მშვენიერ ბუნებაში გათქვეფილა, განაწილებულა. ამიტომ მთელი ეს ბუნება შეიქნა მგოსნის სათაყვანებელი და ამავე დროს იმის აღრენილი სულის დამამშვიდებელი და გრძნობის დამაამებელი.

„სამთ დაშლილა ის ერთი:
„ბულბულათ, ვარსკვლავათ, ვარდათო“.

ამიტომ მგოსანი ლხენასა და შვებას მიეცა და იგი აღტყინებული გაიძახის:

„ბულბულს ყურს ვუგდებ, ვერას ვყნოსავ,
„ვარსკვლავს შევსცქერი ლხენითა,
„და, რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს,
„ვერ გამომითქვამს ენითა.“

საყვარელი დაეკარგა. იმის საფლავი ვერსად იპოვა, მაგრამ ნუგეში იპოვა და სიამე ძიებიში იმით, რომ სიტკბოება განიცადა მუსიკის სმენით, მშვენიერების ჭვრეტით და სარწმუნოებაში. სიმბოლოა მუსიკისა, „ტკბილ ხევსური“ ჰანგებისა. ვარდი მშვენიერების სახიერებით, ხოლო ვარსკვლავი სარწმუნოებისა, ე. ი. ღრმა და მტკიცე რწმენისა, რომელსაც ადამიანი მოიპოვებს მხოლოდ ჭეშმარიტი მეცნიერებით. მაშასადამე, აკაკიმ სიტკბოება და სიამე მოიპოვა ხელოვნებისა, მშვენიერებისა და მეცნიერების სამსახურში. ამით მან გვიანდერძა, რომ ჩვენ ჩვენი ძალ ღონე არ დავიშუროთ და იმედიანი ენერგიით ვიმუშაოთ და ვიმოქმედოთ, რათა მიჯაჭვული ამირანი ავუშვათ და ამავე დროს ჩვენი დღენი დავლიოთ და გავატაროთ ხელოვნებისა, მშვენიერებისა და მეცნიერების სამსახურსა და მოღვაწეობაში.

ჩვენ აღვნიშნეთ, რასაკვირველია, სრულებით მოკლეთ, ძირითადი საკითხი ჩვენი პოეზიისა და მწერლობისა. ეს ხასიათი შეთვისებული და მიკუთვნილი აქვს ჩვენს მწერლობას იოვანე საბანისძიდან დაწყებული აკაკიმდე. ამიტომ ეს თვისება წარუშლელი და ღრმად ფესვებგადგმულია ჩვენს მწერლობაში. ამ მიდრეკილებას ჩვენი პოეზიისას ვერ შეცვლის წარმავალი ვითარება და ცვალებადობა დაუდგრომელი ცხოვრებისა. ამას ვერ აღმოფხვრის ვერც ვისიმე ცდა და ცოდვილი, რადგან ასეთი ცდა უნაყოფოა და უნიადაგო. ეს ხასიათი და თვისება კი აღმოცენებულია ქართველი ერის სულიერი მადლის ნოყიერ ნიადაგზე. ამიტომ ყოველი დიდი ქართველი მოღვაწე, თუ კი მას სურვილი აქვს, ასეთ მოღვაწეთ იქნეს მიჩნეული, ვალდებულია, ამ ძირითადსა და სრულებით სად თვისებას ქართველი ერისას ანგარიში გაუწიოს, მას დაეეჯინოს და მხოლოდ ამ ფარგლებში ამუშაოს თავისი ნიჭი და გონიერება. მაშინ და მხოლოდ მაშინ ეს მოღვაწეობა იქნება მისაღები ქართველი ერის მიერ, ნაყოფიერი და მადლმარიც თავისი შედეგებით.

ქართველმა მწერალმა და მოღვაწემ ყოველთვის უნდა შეინარჩუნოს სულის სიმშვიდე და სიმტკიცე. მან უნდა შეიძლოს ნ. ბარათაშვილივით, თვით უდაბნოშიც კი ჰპოვოს ტაძარი, რომლის წმინდა ლამპარი მას ციური სხივით გრძნობას განუფინავდეს, რათა ამ გამთბარი გრძნობით ამუსიკებული ენა ტკბილ ხევსური ჰანგებს გამოსთქვამდეს საზოგადოებისა და ერის სასიამოთ, რათა ერმა, ამ ჰანგებით წახალისებულმა, შეინარჩუნოს სულიერი ჯანსაღობა, მხნეობა და გაბედული იმედიანობა, ვინაიდან მხოლოდ ასეთი სულიერი მადლი მიანიჭებს ერს უნარს ნაყოფიერი მოქმედებისას.

ა. ფანცხავა.

ბამ ამის შესახებ თავის დროზე გვქონდა საუბარი; მხოლოდ ეხლა გვინდა შევჩერდეთ იმ დეფექტების აღნუსხვაზე, რომელიც სათანადო ორგანოების უყურადღებობით ყოველთვის თან ახლდა ჯარში სასკოლო მუშაობას და რაც, ცხადია, ძალიან აფერხებდა ასეთი საქმიანობის მსვლელობას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე, მთავრობის ყურადღება მიიქცია სამხედრო ნაწილებში სკოლების გახსნის საქმემ, რისთვისაც ცენტრალურმა რევოლიუციონურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი, რითაც აცხადებდა მასწავლებელთა მობილიზაციას სამხედრო სკოლებისათვის. ასეთი დეკრეტის გამოცემა განსაკუთრებით საჭირო იყო იმიტომ, რომ სამხედრო სკოლებისათვის არ მოიპოებოდნენ საჭირო მასწავლებელნი, ურომლითოდაც, ცხადია, სკოლების მოწყობაც შეუძლებელი იქნებოდა.

ამ დროს სხვა და სხვა მიზეზებისა გამო სამხედრო სკოლებში არ მოხვდნენ ისეთი მომზადებული მასწავლებლები, რომლებსაც თავისი პრაქტიკული სტაჟი და თეორეტიული პედაგოგიური ცოდნა ჰქონდათ შესაფერისად შეთვისებული, ურომლისოდაც რა თქმა უნდა ვერც ერთი პედაგოგი ვერ გამოდგებოდა.

სუსტად მომზადებული მასწავლებლებისათვის, წითელ-არმიელთა სკოლებში, მეორე თვალსაჩინო სიძნელესაც ჰქონდა ადგილი. ეს სიძნელე გამოიხატებოდა იმაში, რომ უკვე მომწიფებულ-მოზრდილ ლაშქრელებთან სრულიად სხვაგვარი მეთოდით მეცადინეობა იყო საჭირო, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო ჩვეულებრივ საბავშვო სკოლებში.

ასეთ მდგომარეობაში კი მრავალი მასწავლებელი იყო მოქცეული, და მათი მუშაობას ხშირად ზიანის მეტი არაფერი მოჰქონდა წითელ არმიელთათვის, თორემ რაიმე ნაყოფზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ წითელ ჯარებში სამხედრო სკოლების პრაქტიკას წლინახევრის ისტორია აქვს და ამ ხნის განმავლობაში მრავალი მომზადებული მასწავლებლის გამოყენება შეიძლებოდა, სამხედრო სკოლებში (როგორც გადმოგვცა პოლიტ-განყოფილების განსაკუთრებულმა კომისიამ ჯარების მასწავლებელთა საფილტრაციოდ) ისეთ მასწავლებელსაც ჰქონია ადგილი, რომლებიც თავიანთი ცოდნით და გამოცდილებით, სრულიად არ შეეფერებიან თავის მაღალ დანიშნულებას. ეს ხალხი უვარგისია არამც თუ სამხედრო სკოლებისათვის, არამედ უბრალო კერძო მეცადინეობისათვის და ძალიან გვიკვირს, როდესაც ვგებულობთ, რომ ასეთი პირები კვლავ „მასწავლებლის" სახელს ატარებენ.

თუ ზოგიერთი სუსტი მასწავლებლის დანიშვნა სამხედრო სკოლაში პირველ დღეებში მართლდებოდა იმით, რომ არ იყო სხვა უკეთესად მომზადებული ძალები. დღეს მდგომარეობა ხომ რადიკალურად შეცვლილია იმ მხრივ, რომ მრავალი გამოცდილი მასწავლებელი დაეძებს ადგილს, თუნდაც იმავე სამხედრო სკოლებში, სადაც შეუფერებელი მასწავლებლების წყალობით საგრძნობლად ქვეითდება წითელ-არმიელთა წერა-კითხვის სწავლების საქმე.

აქედან ისეთი დასკვნის გამოყვანა არ შეიძლება თითქოს ყველა სამხედრო მასწავლებელი არ შეეფერებოდეს თავის მოვალეობას. ცხადია არა, ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი გვყავს მხედველობაში განსაკუთრებით ისინი ვინც ინსტრუქტორთა კოლეგიის მიერ „ზარმაცად" იყო ცნობილი, მაგრამ რადაც მანქანებით დღემდე თავის ადგილზე არიან.

ჩვენდა საბედნიეროდ დღეს საბჭოთა რესპუბლიკებში, შედარებით მშვიდობიანი მდგომარეობაა და შინაურ კულტურულ და ეკონომიურ ფრონტებზე სწარმოებს მუშაობა. ამ მდგომარეობით ჩვენ აუცილებლად უნდა ვისარგებლოთ და ხელმეტი სასწრაფოდ უნდა ვაწარმოოთ სასკოლო მუშაობა წითელი ჯარის რიგებში.

რომ მოკლედ გავითვალისწინოთ ის, თუ რა გაკეთდა ჩვენს წითელ ჯარში ამ წლინახევრის განმავლობაში სასკოლო მეცადინეობისა და წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ამ მუშაობამ ვერ მოგვცა ისეთი შედეგები, რომელიც უნდა აუცილებლად მიეცა მას იმ პირობებში, როგორშიც უხდებოდა მას მუშაობა.

ამის მიზეზად ცხადია არ ყოფილა მარტო მასწავლებლობა. ამას ხელს უშლიდა აგრეთვე საგარნიზონო ყარაულში სიარული ჯარის კაცებისა რომლებიც სისტემატიურად აკლდებოდნენ გაკვეთილებს. სასკოლო სექციებმა რაც ყოველ ნაწილში არსებობდა, ვერ მოახერხეს სასკოლო მეცადინეობის დრო შეეფარდებიათ იმ დროისათვის, როდესაც ჯარისკაცები თავისუფლები იყვნენ საგარნიზონო და შინაური დარაჯობიდან. ეს გარემოებანი მრავალჯერ იყო ხოლმე აღნიშნული მასწავლებელთა ოფიციალური მოხსენებებიდან. პოლიტ-განყოფილება ხშირად აძლევდა ჯარის ნაწილებს ბრძანებებს, მაგრამ ეს ყოველთვის ქაღალდზე რჩებოდა და რეალურად არც ერთხელ არ ხორციელდებოდა. ჩვენ არ ვიცით რა იყო ამისი მიზეზი, მხოლოდ ფაქტი კი ასეთი იყო.

ამ გვარად, მასწავლებელთა პერსონალის მოუმზადებლობა და ტექნიკური ხასიათის სამხედრო პირობები ძლიერ უშლიდნენ და დღესაც უშლიან ხელს სასკოლო მეცადინეობის ნორმალურ მსვლელობას.

ამ გარემოებას უნდა მიექცეს არსებითი ყურადღება ამ დაბრკოლებების მოსასპობად ერთხელ და სამუდამოთ წითელი ჯარის გათვითცნობიერების საქმეს შესაფერისი მსვლელობა უნდა მიეცეს.

გ. თავზარაშვილი.

---

პროექტების განხორციელებას სინამდვილეში ვხედავთ.

ჩვენ სიხარულით ვეგებებით საბჭოთა წყალთა ყურადღებას ტექნიკური დარგისადმი. მაგრამ უნდა დავნიშნოთ, რომ წყლის გამოყენების სისტემას ესაჭიროება გადახედვა.

წლინახევარის წინათ წყალშენი პატარა ორგანიზაციას წარმოადგენდა, ის იყო სახელმწიფო ალმშენებლობის კომიტეტის ერთ-ერთი დარგი. მაგრამ ამ ცოტა ხნის განმავლობაში იმდენად გაზარდა ფრთები. იმდენად გააფართოვა მუშაობა, რომ მთელი საქართველოს შეგნებული ნაწილი წყალშენის გარშემო ალაპარაკდა. მიუხედავად საშინელი ეკონომიური პირობებისა, რომელშიაც უხდებოდა ტექნიკურ პერსონალს მუშაობა; მიუხედავად იმისა, რომ სამ და ოთხ თვეობით ვერ ღებულობდნენ მოსამსახურენი იმ უმნიშვნელო ჯამაგირსაც კი, რომლის საშუალებით სიცოცხლის შენარჩუნება ძლივს ძლიერობით შესაძლებელია, ინჟინრებისა და ტექნიკოსების თავდადებული მუშაობით გრანდიოზული საქმე გაკეთდა საქართველოს მასშტაბით. წყალშენის ფუნქციებს შეადგენს.

1. მელიორაცია—მორწყვა, ჭაობების ამოშრობა, წყლის მოწოდება.
2. მდინარის ნაპირების გამაგრება და სტიქიასთან ბრძოლა.
3. წყალსადენები, მცხოვრებთა წყლით უზრუნველყოფა, კანალიზაცია.
4. „თეთრი ნახშირი"—ჰიდრო ელექტრონის სადგურები.
5. ჰიდრომეტრიული მუშაობანი.

სანამ წყალშენი დაარსდებოდა, ზემოდ ჩამოთვლილ ფუნქციებს სხვა და სხვა ორგანოები ასრულებდა, როგორიც არის წყალ-თა სამმართველო, მიწათმოქმედების სამინისტრო და სხვები.

წყალშენის დაარსებამდე ირწყვებოდა საქართველოში 100,000 დესეტინა მიწა.

წყალშენის მუშაობა უმაღლეს წერტილს განვითარებისას აღწევს. 1922 წლის მაისში, ივნისში და ივლისში შესრულდა ე. წ. მიწის სამუშაო და გახსნა საგანგებო კომისიის მიერ 5 არხი, რომლებსაც ქვემოდ დავასახელებთ.

1) **მათხოჯის არხი**. იწყება მდ. (ხრ)ნის წყალიდან, სიგრძე აქვს 11 ვერს, უნდა მორწყოს 2.000 დესეტინა. გაიხსნა 15 მაისს და უკვე რწყავს 1.200 დესეტინას.

2) **ხოხოულის ქალების მორწყვა.** არხი იწყება მდინარე ყვირილიდან, სიგრძე აქვს 18 ვერსი, რწყავს 2.500 დესეტინას, არხი გაიხსნა 23 მაისს.

3) **დუეხი—[illegible]რაკალის არხი**. გამოყვანილია მდ. მტკვრიდან, სიგრძე არხისა 18 ვერსი, რწყავს 2,500 დესეტინას. უფლის ციხესთან გაკეთდა აგირაზი 80 საჟენის სიგრძის. არხი გახსნა საგანგებო კომისიამ 18 მაისს.

4) **სკრა—ქარელის არხი** გამოყვანილია მდ. მტკვრიდან, სიგრძე 22 ვერს, უნდა მორწყოს 3,000 დესეტინა. არხი გახსნა საგანგებო კომისიამ ა. წ. 17 მაისს. 1 800 დესეტინის მოსარწყავად.

5) **დამი-მახაქციელის წილკანის მორწყვა**. არხი გამოყვანილია მდინარე არაგვიდან, სიგრძე 21 ვერსი. უნდა მორწყოს 8,000 დესეტინა. არხი გახსნა საგანგებო კომისიამ ა. წ. 18 აპრილს 2.000 დესეტინის მოსარწყავად.

6) **კულაშ-ლანჩის არხი**. გამოყვანილია მდ. ცხენისწყლიდან, რწყავს 5,000 დესეტინას, სიგრძე 28 ვერსი, უბრალო სამუშაო და მთავრდებოდა.

7) **ქუთაისი-მაღლაკი ფარცხანაყანევი** ეს არხი გამოდის რიონიდან ქუთაისის ახლოს, მოსარწყავი არე 12,000 დესეტინა, არხის სიგრძე 5 ვერსი.

8 **გეგუთი—თეშქვის არხი** გამოყვანილია რიონიდან, სიგრძით 30 ვერსი, რწყავს 10 000 დესეტინას.

9 **ვანი—ტობანიერი** გამოდის მდ. რიონიდან, სიგრძით 28 ვერსია, უნდა მორწყოს 6.000 დესეტინა.

10, **დიმი—როკითი**, ს. ბაღდადის ახლოს, არხი გამოდის მდ. ხანის წყალიდან, სიგრძით 20 ვერსია, უნდა მორწყოს 2.000 დესეტინა.

11. **ულევიდა**. სვირის ახლოს, გამოდის ყვირილიდან, არხის სიგრძე 17 ვერსია, მოსარწყავი არე 2500 დესეტინა.

12. **დოდლაურის ველი**. სადგ. ხაშურის ახლოს, არხი გამოდის მდ. მტკვარიდან, სიგრძით 36 ვერსია და მოსარწყავი არე 9,000 დესეტინა. აღსანიშნავია წყალ-ვარდნილი, რომლისაც დახმარებით 600 ცხენის ძალა იქნება და შესაძლებელია გამოყენება.

13. **ხამგორის ველის** მორწყვა. სამგორის არხის გაყვანას წყალშენი შეუდგა აგვისტოს პირველ რიცხვებში. არხის სიგრძე 56 ვერსი იქნება და მორწყავს 30.000 დესეტინას.

აგვისტოს იმავე რიცხვებში დაწყებულია მუშაობა ბორჩალოს მაზრაში მდ. მაშავერადან. უნდა გამოყვანილი იქნეს არხი, რომელიც მორწყავს 2 000 დესეტინას. მოხდება გადაკეთება არსებული არხების და სამოსო მუშაობას უკვე შეუდგა ტექნიკური პარტია.

ალარ გამოუდგებით აქ იმ სამუშაოთა აღრიცხვას, რომელსაც ეწევიან შენდგა წყალშენი, მხოლოდ გაკვრით ვიტყვი იმ დიდ სარგებლობაზე, რომელსაც მოუტანს ჩამოთვლილი სამუშაოთა დამთავრება საქართველოს. თუ მუშაობა დამთავრდა იმ ფართე მასშტაბით, როგორადაც ეხლა მიმდინარეობს საქართველოში მოირწყვება 112,800 დესეტინა მიწა და თუ ვიანგარიშებთ, რომ დესეტინა მოგვცემს 50 ფუთს, გამოდის, რომ საქართველოს პურისა და ხორბლის შემოსავალი გაიზრდება 5,640,000 ფუთით. ჩვენ ყური შევაჩვიეთ მილიონებს თორემ ეს დიდი, ძალიან დიდი შემატებაა და დიდ შელავათს მისცემს საქართველოს.

აღსანიშნავია ერთი მოვლენა ამ უკანასკნელ [illegible] როგორც დეპეშებმა გვამცნეს ცხენისწყლის ნაპირებზე წყალდიდობის [illegible] ლი ჯებირები ურყევათ დარჩა, ამიერკავკასიის რკ. გზის ხელმძღვანელობით ნაგები ჯებირებიდან კი ალაარაფერი დარჩენილა, ისე წაშალა სტიქიამ. ეს მოვლენა ხაზს უსვამს იმას, რომ წყალშენში მოქმედებს გამოცდილი ხელი და ამტკიცებს მის მნიშვნელობას და საჭიროებას.

თუ მივიღებთ მხედველობაში ზემოაღნიშნულ ჰიდრო ელექტრონის სადგურს, რომლის შესახებ ლაპარაკი იყო ჩვენს პრესაში და იმ დიდ სარგებლობას, რომელსაც უმზადებს ქ. ტფილისს ამ საქმის დამთავრება, თუ გავითვალისწინებთ იმ სტიქიურ მოვლენებს, რომლებიც ჩვენში სისტემატიურ ხასიათს ღებულობს და კატასტროფისაკენ მიდიან, ჩვენთვის ამჟამად გახდება წყალშენის მნიშვნელობა, რომელიც ერთის მხრით მედგარ ბრძოლას იწყებს სტიქიის წინააღმდეგ, და მეორე მხრით ფართოდ იყენებს ბუნებრივ სიმდიდრეს.

ხ. მეიშვილი.

(დასასრული)

---

# თეატრი და ხელოვნება

### სახელმწიფო საოპერო თეატრი „აიდა"

ა. წ. ნოემბრის 9-ს მთავარ პარტიის ახალი შემსრულებლებით დადგმულ იქნა ოპერა „აიდა".

ამნერისის პარტიას ასრულებდა ეოქს სტრიჟენევა, რომელმაც თავისი სცენიური კარიერა ტფილისში დაიწყო ამ რამოდენიმე წლის წინად. ამ ჟამად იგი სრულიად დასრულებული საოპერო მომღერალია ლამაზი, ფართო დიაპაზონის ხმით. mezzo soprano დრამატიული სახის. ოპერის დასაწყისში მომღერალი ეტყობოდა ღელავდა და ამიტომ გაუბედავად შეასრულა შესავალი დუეტი რადომესთან და trio. შემდეგ მოქ. სტრიჟენევა გამოსწორდა და თავისი პარტიის კულმინაციონური პუნქტში (სცენა რადომესთან და სასამართლოს წინაშე) მოგვცა კარგი ვოკალური შესრულება და ტემპერამენტი.

რადომესს ასრულებდა მოქ. ლევიცკი. თანდათან ვრწმუნდებით, რომ მოქ. ლევიცკი მომღერალია უგრძნობოთ, სუსტად განვითარებული მუსიკალური გემოვნებით. შეუძლებელია თავიდან ბოლომდის ხმის ფორსიროვკა და პატეტიურ ადგილებში ყვირილი. ოპერაში საჭიროა სიმღერა და არა კივილი. ხმა აქვს tenore mezzo caractere მართალია ფართო დიაპაზონით, მაგრამ ხმის ფორსიროვკით (იმ მიზნით არა რომ ხოროსა და ორკესტრს აჯობოს ხმაურით) ღლავს მსმენელს.

ეფიოპიის მეფის პარტიას ასრულებდა მოქ. ქარცივაძე. იგი ღელავდა, რითაც ვხსნი მუსიკალურ ფრაზების დაუთავებლობას. მისი ხმა ლირიული ბარიტონია საკმაო ხმაურის. კარგ გრიმს იძლევა. არ ვიცი მოქ. ქარცივაძე რად უხვევს გვერდს ტექსტს, (დუეტში აიდასთან მესამე აქტში „შენ ჩემი შვილი არ ხარ, ფარაონთა მონა ხარ" აქ სიტყვა ფარაონთა არის სოლ ხ(ბემოლ) და არა ლა ხ(ბემოლ). ტექსტის შეცვლა დაუშვებელია და განსაკუთრებით მაშინ, როცა არ არის სრული რწმენა იმის, რომ ნოტა მაღალ ტესიტურაში აღებული იქნება სწორედ და გადაწყვეტით.

რეჟისორმა ყურადღება უნდა მიაქციოს ბალეტში მონაწილეთ, რომელნიც გვერდს უხვევენ სცენის დისციპლინას, რაც აფუჭებს ოპერის დიდებულ დადგმისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას.

პ. ბებუთოვი.

---

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

---

კვირას, 12 ნოემბერს დილის 10 საათზე სადეზინფექციო კამერაში (მისამართი: შეშის და აბასთუმნის ქუჩების კუთხე, დეზერტირის ბაზართან)

დანიშნულია

# საჯარო ვაჭრობა

გასაყიდია ძველი ქვეშაგებები, ტანსაცმელები, თეთრეული, ავტომობილის შინები, ძველი ეტლი, ლინეიკა, ბრიჩკა და სხვა.

139 1—1 სადეზინფექციო კამერის გამგე.

---

დღეს, 12 ნოემბერს გაიმართება

# დიდუბეში იპოდრომზე გაიმართება

# დოღი

დასაწყისი დღის პირველ საათზე

შემდეგი დოღი, 19 ნოემბერს.

---

ორშაბათს, 13 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში დანიშნულია

კომუნალურ მეურნეობის, ჯანმრთელობის განყოფილების, განათლების განყოფილების და მუშათა და გლეხთა ინსპექციის განყოფილების

# სექციების სხდომა.

ამხანაგებს ვსთხოვთ გამოცხადდნენ თავის დროზე.

135 2—2 მდივნის მაგივრად თიკანაძე.

---

## „საქართველოს წყალთა კომიტეტი"-ს დაარსება

ეკონომიურად დაწინაურებული სახელმწიფო კი არ არის, რომელიც ბუნებამ უხვად დააჯილდოვა, არამედ ის, რომელიც ბუნებრივ სიმდიდრეს დაამუშავებს და შესაფერისად გამოიყენებს. ბუნებრივია, რომ ყველა სახელმწიფო მიილტვის გაღონიერებისაკენ. ვისთვის არ არის ჰეშმარიტება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს არსებობაში ეკონომიურ ძლიერებას. თუ მილიტარისტულ სახელმწიფოებს „მოლიპულ გზით სიარულით, ომებით, აუარებელ ადამიანთა მსხვერპლის გაღებით, დაგროვილ ქონებათა გაფლანგვით და განადგურებით ოდნავი იმედი აქვთ ტერიტორიის გაფართოების, სხვისი საშუალებით ხარჯების ანაზღაურების, პატარა სახელმწიფო ამაზედაც ვერ იფიქრებს და არც უნდა იფიქროს.

საქართველოს მდიდარ ბუნებაზე არა ერთი წერილი დაწერილა, არა ერთი უცხოელი მწერალი მოსულა საქართველოს კავკასიის ბუნებით აღტაცებაში, მაგრამ არც ერთ კულტურულ ქვეყანაში, ისე უმოძრაოდ და უსარგებლოდ არ განისვენებს ბუნებრივი სიმდიდრე, როგორც ეს ჩვენ კუთხეულ ქვეყანაში.

საქართველოს ერთ-ერთ მდიდარ განძთ შეიძლება მდინარეები ჩაითვალოს, მისი გამოყენებისათვის ფართე ასპარეზია გადაშლილი. გამოფიტული მიწების მორწყვა და განოყიერება, ჭაობების ამოშრობა, ელექტრიფიკაცია, მუდამ დღის წესრიგში იყო დასმული. თუ წინათ აუარებელი პროექტებით ივსებოდა კანცელარიის ყუთები, დღეს ამ